კვირა, 15 ივლისი 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 153

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყველა თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახავს ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს.
პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარეშე—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.
პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარეშე—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარეთ—6 მან.
ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარეთ—80 კაპ., საზღვარ-გარეთ—1 მან. 50 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.
ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარეთ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ხან-გრძლივ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა

**ივანე ივანეს ძე გოკიელოვი.**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მეუღლე განსვენებულისა **ელისაბედ სიმონის ასული**, შვილები **მიხილ, რაფიელ, გაბრიელ, პეტრე** და მათი მეუღლენი: **ელისაბედ სტეფანეს ასული, მარიამ ივანეს ასული, ელისაბედ ალექსის ასული და მარიამ იაკობის ასული გოკიელოვები.**
პანაშვიდი ყოველ დღე, 6½ საათზე საღამოთი; გამოსვენება 15 ივლისს, დილის 9 საათზე, თვის საკუთარ სახლიდან, გაგარინის და ალვიკოვის ქუჩების კუთხეში, კათოლიკეთა ეკლესიაში. (2—5—2)

**იულია ანდრიას ასული ოცხელი, იაკობ პავლეს ძე ოცხელი, ოლღა პავლეს ასული ალოფიევისა და ეკატერინე პავლეს ასული ხერხეულიძისა** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი ძმისა და ბიძის: პირველ—ძვირფას მეუღლის, დანარჩენთ—დაუვიწყარ ძმის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფის

**ანტონ პავლეს ძის ოცხელისას.**

ცხედრის გამოსვენება ორშაბათს, 16 ივლისს, დილის 8½ საათზე, ქუთაისში, იერუსალიმის ქუჩიდან № 5. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6½ საათზე. (1—5.—1)

## „ფუნიკულერის“

## რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანდროს ლოტბარობით. (20——193—5)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა

ქართული

## „დროების კალენდარი“

### ბამდეგი 1908 წლისათვის.

„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.
კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან.
ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**
დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.
ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.
მისამართი ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა.
**„დროების კალენდრის“** გამომცემელს.

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად 6 მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—14)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ.—87)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**გინეკოლოგი და ვენერიოლოგი.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყოროღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—135)

გამოვიდა და იყიდება
**ა. საჯუელისა**
ახალი წიგნი
სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში
წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—8)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნის ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე, სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—43)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდენკო**—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ფალამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორადკევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრამე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ზოგოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი ოოზულიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გოროდცევი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პივარსკი** კლინიკური ანალიზი.
**ზუდნოვსკი**ნერ., სულ. ჰიპოზი ყოველდღე 4—5 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—12)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.
**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და ს ბავშვთა ავადმყოფობანი.
**ა. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. ბ. გიმონი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 60 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—90)

კვირას, 15 ივლისს, გამოვა იუმორისტული, კარიკატურებიანი გაზეთი

## „შუამავალი“

ადრესი: Типографія товарищества „Трудъ“ Михайловская № 65. სტამბა ამხანაგობისა „შრომა“ მიხაილოვის ქუჩა № 65.
ფასი ყველგან—10 კ. (2—უ.—2)

კვირას 22 ივლისს (?) **გამოვა** ყოველ-კვირეული ქართული სამეცნიერო-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-ეკონომიური გაზეთი

## „ქარიშხალი“

ცალკე №-რი ფასი 6 კაპ. ხელის მოწერა არ მიიღება. ვთხოვთ ყველას, ვინც მოისურვებს თავ-თავის დარგში თანამშრომლობის, მასალები დროზე გამოგვიგზავნონ.
ადრესი: Тифлисъ Семеновская ул. № 4. типографія „Надежда“ редактору газеты „Каришхали“. (1—უ.—1)



## სამუშაო

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.
ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.
კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ Николаевская улица, № 9. (50—6.—1)




**სისტემატიურად ყოველ დღე ხმარება ოდოლისა საუკეთესო საშუალებაა კბილებისა და პირის სუფთად შესანახად.**
ფასი 1/1 ფლაკონისა, რომელიც რამდენსამე თვეს ეყოფა, 1 მ. 50 კ.
(Метцль и К°) (2—№ 2—2)

### ტფილისი, 15 ივლისი

გუშინ ტელეგრაფმა გვაუწყა დიდ ისტორიულ მნიშვნელობის ამბავი: ფორმალურად გაუქმდა კორეის იმპერიის დამოუკიდებლობა, ისპობა თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება ვეებერთელა მდიდარ იმპერიისა, რომელიც 12 მილიონ მცხოვრებს შეიცავს.

ამ დიდმნიშვნელოვან აქტს დეპეშა ამნაირად გადმოგვცემს: 12 ივლისს ხელი მოაწერეს იაპონიისა და კორეის საურთიერთო ხელშეკრულობას, რომელსაც საგნად აქვს „კორეის ძლიერებისა და აღყვავების განვითარება“. კორეის „განვითარებისთვის“ დადებული ხელშეკრულობა სულ 7 მუხლიდან შესდგება, რომელთა შინაარსი შემდეგია: შინაურ მართვა-გამგეობის საქმეში კორეა ხელმძღვანელობს იაპონიის რეზიდენტის დარიგებით; ყველა უფრო მნიშვნელოვან ადმინისტრატიულსა და საკანონმდებლო საქმეში საჭიროა იაპონიის რეზიდენტის თანხმობა; ამისივე თანხმობაა საჭირო მთავარ მოხელეების დანიშვნისა და დათხოვნის საქმეში; რეზიდენტის მოთხოვნით კორეის მთავრობა ნიშნავს თანამდებობებზე იაპონელთ; უცხოელთა მიღება რეზიდენტის დაუკითხავად არ მოხდება და სხვა... როგორც ხედავთ, ეს მუხლები პირდაპირ აუქმებენ კორეის პოლიტიკურს დამოუკიდებლობას და იმპერიის მართვა-გამგეობის საქმეს აბარებენ იაპონიას.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ კორეის დამოუკიდებლობის ეს გაუქმება ფორმალურია. მართლაც, ფაქტიურად ეს უკვე კარგა ხანია მოხდა. ჩინეთ იაპონიის ომის შემდეგ, თუმცა სიმონოსეკის ხელშეკრულობით აღიარებული იყო კორეის დამოუკიდებლობა, კორეის სვე-ბედის გამგებლებათ იაპონელები შეიქმნენ; ხოლო რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, იაპონელები სავსებით დაეპატრონენ შორეულ აღმოსავლეთის ამ უძველეს სახელმწიფოს. 12 ივლისის ხელშეკრულებამ მხოლოდ უფლებრივ ნორმად გადააქცია და საერთაშორისო კანონად აღიარა საქმეთა ფაქტიური მდგომარეობა; ამასთანავე საბოლოოდ გადასწყვიტა კორეის ბედი და იაპონელთა ბატონობა კორეის ნახევარ კუნძულზე.

თუ მკითხველი თვალ-ყურს ადევნებდა უკანასკნელ კვირის დეპეშებს, მას ეცოდინება მიზეზიც, რომელმაც გამოიწვია ამ „საქმის“ ასეთი დაბოლოვება და თვით აქტის ისტორიაც. „დატყვევებულმა“ კორეის იმპერატორმა წარჩინებულთა დეპუტაცია გაგზავნა ევროპაში; დეპუტაციას საჩივარი უნდა გამოეცხადებინა ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე და ეთხოვა კორეის დამოუკიდებლობის აღდგენა; იაპონიამ ეს იწყინა და წინადადება მისცა კორეის იმპერატორს ტახტზე უარი ეთქვა და იმპერატორის გვირგვინი შვილისთვის გადაეცა; კორეის იმპერატორი იძულებული გახდა დაეთმო ძლევამოსილ მტრისათვის, ხოლო შვილი იძულებული გახდა ზემოხსენებულ ხელშეკრულობაზე დათანხმებულიყო. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში იაპონია ფორმალურად მართალია და კანონიერ გზაზე სდგას. საქმე ისაა, რომ 1905 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულობის ძალით, კორეის სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობა იაპონიის ხელში გადავიდა; იაპონიის დაუკითხავად კორეის მთავრობას ნება არ ჰქონდა (1905 წლიდან) რამე საერთაშორისო ნაბიჯი გადაედგა. ამნაირად, ჰააგაში დეპუტაციის გაგზავნა ფორმალურ საურთიერთო ვალდებულობის დარღვევა იყო და იაპონიამაც მოხერხებულად ისარგებლა ამით. დავსძინოთ აქვე, რომ ჰააგის კონფერენციამ არც-კი მიიღო კორეის იმპერატორის საჩივარი; მიზეზად იგივე ხელშეკრულობა გამოაცხადა,—კორეას ნება არა აქვსო იაპონიის დაუკითხავად საერთაშორისო მოლაპარაკება გამართოსო, თითქო რომ დაეკითხებოდა, იაპონია ნებას მისცემდა ასეთ საჩივრის გამჟღავნებისას...

კორეის დამოუკიდებლობის მოსპობას დიდი მნიშვნელობა ექნება შორეულ აღმოსავლეთის და მთელის ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობისათვის. ძლევამოსილი იაპონია ერთი-ორად ძლიერდება კიდევ. მისთვის კორეას დიდი მნიშვნელობა აქვს. საარაკო სისწრაფით გაძლიერებული, განვითარებული და მუდამ დღე წინმსვლელი „ამომავალი მზის იმპერია“ ვეღარ ეტევა თავის კუნძულებზე და ძალა-უნებურად უნდა გადასულიყო აზიის მატერიკზე. კორეადან და მანჯურიიდან მას ჰყოფს მხოლოდ იაპონიის პატარა ზღვა, რომელიც იაპონიამ კარგა ხანია გადალახა და ხსენებულ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირი შეჰკრა. კორეა უახლოესი და უდიდესი ბაზარია იაპონიის განვითარებული კაპიტალისტურ მრეწველობისა და სამაგიეროდ კორეიდან მოსდის იაპონიას აუარებელი დასამუშავებელი მასალა და პურიც, ბრინჯიც და სხვა სარჩო. კორეაში უკვე დიდძალი მოსახლეობაა იაპონელთა, რომელთაც თავისი მაღალი კულტურა შეაქვთ ჩამორჩენილს ქვეყანაში. ერთი სიტყვით, იაპონიას დიდი ინტერესები აერთებს კორეიასთან და შემდეგ მანჯურიასთანაც და არაა გასაკვირველი, თუ მან ესოდენი მსხვერპლი მოიტანა კორეაში ფეხის გასამაგრებლად; წინანდელ მსხვერპლს რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩინეთთან და რუსეთთან ომებია საშინელი მსხვერპლი...

რასაკვირველია, იაპონიამ დაარღვია სამართლიანობა იმით, რომ ფეხით გასთელა დამოუკიდებელ ხალხის თავისუფლება. ადვილად შესაძლებელია, რომ კორეა თვითონვე გამოფხიზლებულიყო ღრმა ძილისაგან და პროგრესის გზაზე დამდგარიყო. მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზიულ ცხოვრების პირობების მიხედვით იაპონიას ისეთი არა ჩაუდენია-რა, რაც ყველა ახლანდელ სახელმწიფოს კა-

ნონიერად და სამართლიანად არ მიაჩნდეს. სუსტის დაჩაგვრა და დამონავება ერთი-ერთი დედა-ბოძია, რომელზედაც აშენებულია თანამედროვე უსამართლო და უკულმართი ცივილიზაცია... კორეაც კარგა ხანია ნატვრის თვალად გადაიქცა ყველა მეზობელ დიდ სახელმწიფოსათვის: ამერიკაც, ჩინეთიც, რუსეთიც დიდი ხანი უპირებდნენ ხელს და გადაყლაპვას უქადიდენ. იაპონიამ მხოლოდ დაასწრო ამათ და როგორც უფრო ძლიერმა შესძლო ისეთ საწადლის განხორციელება, რომელიც სხვებსაც ჰქონდათ.

## ახალი ამბავი

✦ **ასოთ-ამწყობის მოკვლა**. 13 ივლისს ვიღაც კაცმა მოჰკლა ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბის ასოთ-ამწყობი დანიელ ნეხოროშოვი. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ასე ნაშუადღევის 3 საათზედ, ასოთ-ამწყობები სტამბიდან გამოსულან. ნეხოროშოვი სტამბის მეორე კარებიდან გასულა ორბელიანის ქუჩაზე და აქედან გამგზავრებულა სახლისაკენ. მარტიროზოვის სახლთან დაჰხვედრია უცნობი, რომელსაც ხუთჯერ დაუხლია რევოლვერი და მსწრაფლ მიმალულა. ნეხოროშოვი იქვე წაქცეულა და მომკვდარა. ტყვია მოჰხვედრია თავსა, გულსა და ხელში.

✦ **მკვლელობა**. პოლიციის მე-10 ნაწილში, ბატარეის ქუჩაზე, 13 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, მიმავალებულა რკინის გზის მატარებლების დარაჯი გერასიმე ტორბინი. სათავა-აზნაურო ბანკის სახლთან ტორბინისთვის ვიღაც კაცს ორჯელ უსროლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს. მკვლელი მიმალულა.

✦ **სტამბის ჩხრეკა**. 14 ივლისს ტფილისში დიდი ჩხრეკა იყო. დაჩხრიკეს სტამბები. ჩხრეკას შეუდგნენ დილის 7 საათიდან და ზოგან თორმეტ-პირველ საათამდე გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მუშაობა არა ყოფილა. დაჩხრიკეს სტამბები ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა, „იდეალი“-სა, ტარუმოვისა, ხაჩატუროვისა, „შრომი“-სა, მარტიროსოვისა, ქაშალ-ეფენდისა და სხვათა. არ გაუშვეს გაუჩხრეკავი არც ერთი სტამბა. დაწვრილებით გაჩხრიკეს ყველა განყოფილება, გასინჯეს წიგნები და ხელნაწერები და სხვ. რამდენადაც გავიგეთ, დაპატიმრებით არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ **ვაგონები ტრამვაისთვის**. როგორც უკვე ვწერდით, ტფილისის ტრამვაის ცოტა ვაგონები აქვს, ამიტომ მიმოსვლა ძალიან ფერხდება. ტრამვაის დირექციას გადაუწყვეტია აქ, ტფილისის სახელოსნოში აავოს ახალი ვაგონები. საზღვარ-გარეთიდან დაიბარებენ მხოლოდ მატორებს, თვლებს და ზოგიერთ სხვა ნაწილებს.

✦ **გუბერნატორის მოწერილობა**. როგორც ვიცით, ტფ. ქალაქის საბჭომ 2,500 მანეთი გადასდო ტფილისში განზრახულ უმ ღლეს კურსებისათვის. ეხლა ქალაქის გამგეობას გუბერნატორის მოწერილობა მიუღია, შეაჩერეთ საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანაო.

✦ **ოქმები ტრამვაის კონდუქტორების შესახებ**. პოლიციას თურმე დიდძალი ოქმი შეუდგენია ტრამვაის კონდუქტორების შესახებ. მიზეზი ის არის, რომ კონდუქტორები არ ასრულებენ სავალდებულო დადგენილებას ქუდებზე ნომრების გაკეთების შესახებ.

✦ **პოლიტიკური საქმე**. სამშაბათს, 16 ივლისს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე კვაჩელისა, რომელსაც ბრალდება სარევოლიუციო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დასამხობად.

✦ **გატაცებულ ხუთას მანეთიანის პოვნა**. როგორც „ზ.“-ს ატყობინებენ, ლოძში აღმოუჩენიათ ერთი ხუთას მანეთიანი, რომელიც 13 ივნისს ტფილისში, ერევნის მოედანზე თავდასხმის დროს გაიტაცეს.

✦ **სამკითხველო**. ტფ. გუბერნატორმა ვ. ნ. ბასტიანოვს ნება დართო გამართოს ხარფუხში ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს საზოგადო ხასიათი ექნება.

✦ **მკვლელობა ბაქოში**. რამდენისამე ტყვიით ბაქოში მოუკლავთ ნობელის შავქალაქის სახელოსნოების გამგე ბაუსენი.

✦ **ახალი გაზეთი**. მ. ი. ფონ შალეს ნება დაერთო გამოსცეს თავის რედაქტორობით ტფილისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „ჩვენი სიტყვა“.

✦ 11 მკათათვეს გოლოვინსკის პროსპექტზე, ტრამვაის ვაგონ ქვეშ მოჰყვა სამი წლის ქალი. აღარავის ეგონა იმისი გადარჩენა, მაგრამ ვატმანმა (ვაგონის ნომერი 207) სწრაფად ტორმოზი მისცა, უკან დასწია ვაგონი და სრულებით უვნებელი ბავშვი გამოიყვანა ვაგონის ქვეშიდან. შეშინებული ბავშვი მიწაზე იყო გაწოლილი.

✦ 13 ივლისს, საღამოს 8 საათზედ, ნიკოლოზის ხიდიდან თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი გადამხტარა მტკვარში და დამხრჩვალა. ვინაობა დამხრჩვალისა ვერ გავიგეთ.

✦ დღეს, 15 ივლისს, ზუბალაშვილი სახელობის სახალხო სახლში გრ. ვანციანი სომხურად წაიკითხავს ლექციას: „მიხეილ ნალბანდიანის ლიტერატურული მოღვაწეობა“.

✦ 13 ივლისს ფეთხაინის ქუჩაზე მცხოვრებმა, სახელად გეორგიმ (გვარი არ იციან), ხანჯლით დასჩრა პეტრე წირიკიდაშვილი და შემდეგ მიიმალა.

✦ სასინოდო კანტორის პროკურორის რამდენისამე ხნით ქალაქიდან წავიდა. იმის თანამდებობის აღსრულებას 14 ივლისიდან შეუდგა კანტორის მდივანი სოფრომ მგალობლიშვილი.

✦ ტფ. მაზრის სოფელ პატარძეულში დაუხურავთ ადგილობრივი სამრევლო სასწავლებელი. პატარძეულელებს ეხლახან ყრილობა ჰქონიათ სკოლის დაკეტის მიზეზის გამოსარკვევად. ბრალი ადგილობრივ მღვდლის უსტიაშვილისათვის დაუდვიათ.

✦ 13 ივლისს, საღამოს 9 ცხრა საათზედ, გუნიბის ქუჩაზე მცხოვრებმა ვერა გორსკაიამ მორფი მიიღო და თავი მოიწამლა. გრძნობა დაკარგული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზაზავნეს. მოწამვლის მიზეზი არ არის გამორკვეული.

✦ მუხრანის ბორნის მისადგომი ხიდები გაასწორეს გუშინ და მუხრანისა და რიყის ქუჩას შუა მიმოსვლა მტკვარზე განახლდა.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში გოგოლის ქუჩაზე სიმონ ლეჟავას 13 ივლისს ღამე მოპარეს 60 მანეთის ნივთები.

## პატარა ფელეტონი

### ჩინური გამოთხოვება

ჩინელები თავიანთის ზრდილობიან თავაზიანობით მთელ ქვეყანაში სახელ-განთქმული ხალხია. ჩინეთში, როცა რომელიმე პროვინციის ხალხი თავის გუბერნატორის ქცევით უკმაყოფილოა, იმის კარების წინ მრავლად თავს იყრის და მშვენივრად შემკული, ხელით სატარებელი ტახტრევანი მოაქვს. ტახტრევანზე, ხავერდის ფარდებს ქვეშ, ოქროთი მოვარაყებული სავარძელი დგას. თავ-მოყრილი ხალხი დეპუტაციას გზავნის გუბერნატორთან და გარედ გამობძანებას სთხოვს. მძლავრი მოხელე დინჯად და დიდებულად გამოდის. ხალხი იმას კრძალვა-მოწიწებით გარს ეხვევა და ტახტრევანზე დაბძანებას სთხოვს. წარჩინებულ გვამს ზრდილობიანად მარჯვენა და მარცხენა იღლიაში ხელებს უყრიან და ოქროთი მოვარაყებულ სავარძელზე დაბძანების დროს შველიან. გუბერნატორი ხმაამოუღებლად ემორჩილება ხალხის სურვილს, რადგან ამას მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მტკიცედ დაცული ჩვეულება მოითხოვს. ხალხი ადგილიდან იძვრის და დიდის ზარისა და ზეიმით მშვენიერი ტახტრევანი და ზედ დინჯად დაბძანებული გუბერნატორი ქალაქის კარებისაკენ ხელით მიაქვს. მთელი ქუჩები, სახლების ფანჯრები, კარები და აივან სახურავები ხალხითაა მოფენილი, რომელიც აღტაცებულის ყვირილითა და ხელსახოცების ფრიალით ეგებება და ულოცავს დიდებულ პროცესსიას. ისმის ჩინური მუზიკა—დაფ-წინწილათა მგრგვინავი ხმა. ყველანი ლამაზად მორთულნი არიან, ყველანი გუბერნატორის პროცესსიას გულ-წრფელად დღესასწაულობენ.

ქალაქის ბოლოს მიახლოვებულ პროცესსიას ფართოდ გაღებული კარები უხვდება. მჭიდროდ შეჯგუფულ ხალხს გააქვს შიგ წარჩინებული გვამი თავის მშვენიერ ტახტრევანით და ქალაქს გარედ დიდის სიფრთხილით დაბლა მიწაზე უშვებს. გამოდის ხალხიდან გძელ-ჭაღარა წვერით მოსილი ტან ახოვანი მოქალაქე, გულზე ხელებ-დაკრეფილი, კრძალვა—მოწიწებით თავ ჩაღუნული ტახტრევანზე დაბძანებულ გუბერნატორის წინაშე ჩერდება და ღრმესის პატივისცემის გამომხატველის ხმით შემდეგ სიტყვას უძღვნის: დიდებულ შარავანდედით მოსილო მნათობო მაღლა ცისა და დაბლა ხმელეთისა! შენ მოჰფინე ნათელი ჩვენ ქვეყანას და ერთგულ ქვეშევრდომთა გული უმაღლესის სიხარულით აავსე. შენი დაუშრეტელი შუქ-მფინარობა მუდამ-ჟამს ნეტარებისა და უმაღლეს კეთილდღეობის ამაღორძინებელი იყო ჩვენ შორის. მაგრამ ვაგლახ ჩვენ! როგორც სიკვდილის შვილი ადამიანი ვერ უძლებს და თვალს ვერ უსწორებს ზეცაურ მზის ბრწყინვალე შარავანდედს, რადგან ღირსია საუკუნო წმინდა ცეცხლით აღგზნებულ მნათობის ხილვისა და იძულებულია თვალები ძირს დაუშვას, ისე ჩვენც ვერ გაუძლეთ შენ მიერ დაუშრეტელ წყალობათა ფრქვევას და იძულებულნი ვართ ბრწყინვალე შუქით მოსილი შენი სახის წინაშე თვალები ძირს დაუშვათ. განვედი ჩვენგან, დაუვიწყარო წარჩინებულო გვამო! დასტოვე ყოველნაირ სიბილწით აღსავსე ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ღირსნიც არა ვართ, რათა ვემსახუროთ ნაკვალევსა ფერხთა შენთა, არა თუ მუდამ ჟამს ვსჭვრეტდეთ სიახლესა შენსა. განვედი ჩვენგან და მოჰფინე შენი ნათელი ჩვენ გარეშე ქვეყანას, რომელიც კარგა ხანია შურის თვალით გვიცქერის და მუდამ ჟამს სწყურია შენის დიდებულ შარავანდედის სანეტარო ხილვა!“

დაასრულებს რა თავის სიტყვას, პატივცემული მოქალაქე სამჯერ დაბლა თავს უკრავს ტახტრევანის ოქროს სავარძელზე დაბრძანებულ წარჩინებულ გვამს, რასაც მორჩილად ჰბაძავს ირგვლივ თავ-მოყრილი ურიცხვი ხალხი, შემდეგ პირ-შეუბრუნებლად, მდუმარე უკან-უკან წევით ხალხთან ერთად ნელ ნელა შორდება, ოციოდე ნაბიჯის მანძილზე ისევ ჩერდება და ისევ ხალხთან ერთად ღრმა მოწიწებით საბოლოო სალამს უძღვნის. ამის შემდეგ ცერემონია გადახდილი ხალხი თავის ყოფილ გუბერნატორს ზურგს უქცევს, ქალაქს კარებში შედის, ამ კარებს მაგრამ ჰკეტავს და თავ-თავის ბინებისაკენ ეშურება.

ამ სტრიქონების მკითხველნო! ნუ თუ კითხვის დროს სურვილი არ გაგეღვიძათ, რომ ამგვარსავე ჩინურის წესით მშვენიერ ტახტრევანზე დაბძანოთ, დიდებული პროცესსია გააყოლოთ, ჩვენის ქვეყნისა და ოსმალეთის საზღვრის ტაშის კარამდე მიაცილოთ, ამ კარებში გაატაროთ, აქ მოყვანილ ზრდილობიან სიტყვით გამოეთხოვოთ და ცხვირ წინ ტაშას კარი გადაუკეტოთ ყველა იმ წარჩინებულ და არა წარჩინებულ, ხარისხოვან და უხარისხო გვამებს, რომელნიც ხალხის ზურგზე წამოსკუპებულან და იმის სისხლსა სწოვენ.

**ი. ნაკაშიძე.**

## პრესა

გამოქვეყნდა ბრალდებითი ოქმი გენერლების სტესელის, [illegible] სმირნოვის წინააღმდეგ. [illegible] ამათი საგმირო [illegible] ბის შესახებ? მთელ ქვეყანას ყური გამოუჭედეს ყვირილით თავის მამაცობაზე, პატრიოტიზმზე, უანგარობაზე და სხვა. სტესელს და მის ახლობელ თანაშემწეთ თითქმის აღმერთებდნენ რუსეთის პატრიოტები და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პორტ-არტური უძლეველია... მალე ეს იმედიც გაუცრუვდათ, მაგრამ სტესსელსა და მის ამხანაგთ დიდების გვირგვინი მაინც დარჩათ: ამათ ყველაფერი პირნათლად და მამაცურად შეასრულეს და მათი ბრალი არაა, თუ საქმე ცუდათ დაბოლოვდაო. ახლად გამოქვეყნებული ბრალდებითი ოქმი, ბოლოს, ნიღაბსა ხდის „გმირებს“ და საზარელ სურათს გვიხატავს. შეუძლებელია იმის გადაცემა, რასაც ოქმში ვკითხულობთ! ასეთი ზნეობრივი დაცემა წარმოუდგენელია! პორტ-არტურის „დამცველნი“ ყველას ატყუებდნენ თურმე; უნიჭო და თავხედაცემული გენერლები არაფერს აკეთებდნენ; ზვ ქენენ სიმდიდრეს, განცხრომაში იყვნენ, ხოლო თავის გმირობაზე ყალბ დეპეშებს გზავნიდნენ აქეთ-იქით. ბრალდებითი ოქმი პირდაპირ ამტკიცებს მათ მოღალატეობას. გაზეთები განცვიფრებით იხილავენ ამ ისტორიულს ოქმს. სხვათა შორის „ნოვ. ვრ.“, რომელიც ყველაზედ უფრო მაღლა სცემდა ბუკსა და ნაღარას „პორტ-არტურის გმირების“ თავ-განწირულ მამაცობაზე, დღეს ასე სწერს:

> მხედრობის წინამძღოლნი ერთმანეთს ატყუებდნენ, ატყუებდნენ ჯარს, ატყუებდნენ პეტერბურგს და მთელს ქვეყანას და ამის გამო გულს «სისხლის ჯვრებით» იმკობდნენ. იაპონელებს ჰქონიათ საქმე ისეთ უნიჭობასთან, გახრწნილებასთან და სიმხდალესთან, რომ სული კვლავ მწუხარებით გეხუთება და წყევლის მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოგიხერხებია. ჩვენი უნიჭო და გათახსირებული გენერლები თურმე ვერაფერს ხედავდნენ, ვერაფერს გრძნობდნენ და მხოლოდ ჯამაგირსა და ორდენებზე ჰფიქრობდნენ. მათ არ ეშინოდათ პასუხის-მგებლობისა და არარად მიაჩნდათ სამშობლოსადმი მოვალეობა...

სუვორინი მოითხოვს დამნაშავეთა უწყალოთ დასჯას: შებრალება ნუ იქნება ასეთ მოღალატეებისთვისო. მაგრამ ერთ წუთსაც არ დაფიქრდება, რა პირობებმა, რა ისტორიულმა პროცესსმა შექმნა ასეთ „გმირების“ არსებობა, ასეთი გახრწნილება? ერთ წუთსაც არ დაფიქრდება, როგორ და რა გზით უნდა იქნას თავიდან აცდენილი მომავალში მაინც ასეთის სამარცხვინო მდგომარეობის განმეორება? პირიქით, სუვორინის გაზეთი ახლაც ბეჯითად იცავს იმ პირობებს, რომელთაც პორტ-არტურამდე, მუკდენ-ცუსიმამდე მიიყვანეს რუსეთი.

* *
*

## ფელეტონი

### თანამედროვე საკითხები

(გაგრძელება *)

მესამე თავის ბოლოში ვსთქვით, რომ მუშათა გასანთავისუფლებლად საჭიროა მისი შეკავშირება ერთის მხრით პროფესიონალურ, მეორეს მხრით კი—პოლიტიკურ ორგანიზაციებად. განვმარტოთ ჩვენი აზრი.

სინდიკატები პროფესიონალური ორგანიზაციებია. ხოლო პროფესიონალურ ორგანიზაციების მიზანს მარტო საბოლოო განთავისუფლება კი არ შეადგენს, არამედ მუშის ყოველ-დღიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველ-დღიურ ბრძოლას ეწევიან კაპიტალისტების წინააღმდეგ, ან კიდევ ურთიერთის დახმარებით სურთ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთიც და მეორეც პროფესიონალურ ორგანიზაციებს ვიწრო კორპორატიულ ხასიათს აძლევს. ამასთანავე ერთად რაც უფრო მეტს იძენენ ამნაირის საშუალებით მუშები, რაც უფრო ძლიერნი ხდებიან პროფესიონალური ორგანიზაციები, მით უფრო ნაკლებად ვრცელდება სოციალისტური აზრები მათში. ამის საუკეთესო დამახასიათებელ მაგალითს ინგლისის ტრედ-უნიონები წარმოადგენენ. არც ერთს ქვეყანაში არ მოიპოვება ისეთი ძლიერი და სამაგალითოდ მოწყობილი პროფესიონალური ორგანიზაციები, როგორიც ინგლისის ტრედ-უნიონები არიან. ინგლისის მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირს, მაგალითად, აქვს საკუთარი ბანკი, რომელიც წლიურად 900 მილიონს ატრიალებს. ყველაზე დიდი ჩაის მაღაზია ქვეყანაზე ამ ამხანაგობას ეკუთვნის და წელიწადში 13 მილიონს ატრიალებს; აუარებელი ფაბრიკა-ქარხნები აქვს; კონტინენტთან კავშირის დასაჭერად და საქონელის გადასაზიდად კავშირმა ხუთი თავისი საკუთარი გემი გაიჩინა; მთელი ოპერაციის წმინდა შემოსავალი კი 70 მილიონ მანეთს აღემატება.

ამისთანა მდგომარეობას ორი მეტისმეტად მავნებელი შედეგი მოჰყვა: ჯერ ერთი დაიბადა ეგრედ წოდებული „მუშური არისტოკრატია“, რომელიც თავის მშიერ ამხანაგებს ამ ჟამად ზევიდან დასცქერის და სოლიდარობაზე აღარც კი იცნობს. მაგალითად, ინგლისის მაღაროების მუშათა უკანასკნელ ნაციონალურ კონგრესზე აიძრა საკითხი რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაზე მაღაროებში. მაგრამ ამნაირ რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმები მისცეს ნორტუმბერლენდისა და დიურგემის მუშებმა, რომელთაც უკვე მოპოვებული ჰქონდათ ასეთი უფლება თუ ასეთი ურთი-ერთობა არსებობს ერთსა და იმავე ცეხის მუშებს შორის, სხვა და სხვა პროფესიის მუშათა შორის რაღანაირი სოლიდარობა უნდა არსებობდეს, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიმინდვია.

მეორე ვნება მდგომარეობს იმაში, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები ვიწრო კორპორატიულ ტენდენციებით გაჟღენთა. ისეთი გულ-გრილობა პოლიტიკისადმი, რანაირიც ინგლისის მუშებს ეჩვენებათ, წარმოუდგენელია. არავითარი გატაცება, არავითარი აღფრთოვანება. სოციალისტური იდეალი ინგლისის მუშას განუხორციელებელ უტოპიად მიაჩნია, სოციალისტებს კი დემაგოგებსა და ფანტაზიორებს ეძახის.

თუმცა სოციალ-დემოკრატები ირწმუნებიან, რომ სოციალიზმი დიდის კაპიტალიზაციის შედეგი იქნებაო, მაგრამ ინგლისის მაგალითი სრულიად სხვას გვიმტკიცებს. პირიქით, ჩვენა ვხედავთ, რომ 50 წლის წინად, დიდებულ ჩარტისტულ მოძრაობის დროს, უფრო მეტი აღფრთოვანება და კლასსიური თვითშეგნება იყო, ვიდრე დღეს, როდესაც კაპიტალიზმის განვითარებამ ინგლისში უმაღლეს წერტილს მიაღწია. უკანასკნელ არჩევნების დროს იმ ოლქებმა, სადაც უფრო ბევრი ქარხანაა, საშინელი კონსერვატორობა გამოიჩინეს, სასოფლო ოლქებმა კი ლიბერალები აირჩიეს. ინდუსტრიალურმა ქალაქმა გლეზგოვმა ხმა ცნობილ ჩემბერლენს მისცა; პატრიარქალურმა ედინბერგმა კი ჩემბერლენს შავი კენჭები ჩაუყარა.

თუ რამდენად გულ-გრილად ეკიდებიან მუშები პოლიტიკას, ეს, სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ 669 დეპუტატიდან უმრავლესობას ქარხნის პატრონები შეადგენენ, უმცირესობას (13) კი—მუშები. ამათგან 12 კაცი სხვა და სხვა ლიბერალურ პარტიასა და ნაციონალისტებს ეკუთვნის. ინგლისელი მუშა იბრძვის, მაგრამ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფალ დროს სპორტებსა და... ბიბლიის კითხვას ანდომებს. ეს ერთად-ერთი წიგნია, რომელსაც ეტანება ინგლისელი მუშა. ქარხნის ქვაბმა ინგლისელ მუშას თავის ქალა ვერ მოუხარშა, სოციალისტური აზრები ვერ გაუღვივა და არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ ვერ აამხედრა. რად მოხდა ეს? ბევრსა ჰგონია, ვითომ ამისი მიზეზი ინგლისელის განსაკუთრებული ხასიათი იყოს; მაგრამ ჩვენ ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია. შესაძლებელია რამდენადმე ამასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ ინგლისელ მუშებს პოლიტიკური იდეალები არ აფრთოვანებს. ინგლისელი მუშა სავსებით კორპორატიულ ინტერესებით არის გატაცებული, მას პოლიტიკური საკითხები არ იზიდავს, უსაშინელეს კონსერვატიულ დაწესებულებას მისი კანონიერის პატივისმცემელი ბუნება ადვილად შეეგუება.

თუ გვინდა, რომ ინგლისელი მუშაც სოციალისტურ ფერხულში ჩაებას, პოლიტიკური ინტერესი უნდა გაეღვიძოს მას. ეს კი მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისშიაც გაჩნდა სოციალისტური პოლიტიკური პარტია. ამავე მიზეზების გამო ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ანარქისტებისა, რომელნიც მუშებს პოლიტიკაზე გულს უცრუებენ და მარჯვნივ და მარცხნივ ჰქადაგებენ, რომ პოლიტიკა მარტო ბურჟუების საქმეაო. საჭიროა, რომ ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხით მუშა ღრმად იყოს დაინტერესებული და იმის გადაწყვეტაშიაც აქტიური, პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს. უამისოდ მას ვიწრო კორპორატიზმში ჩახრჩობა მოელის, იგი დღიურ ქირ-ვარამს თავს ვერ დააღწევს და აუარებელი პრობლემა, მთელი მრავალფეროვანი ცხოვრება მსოფლიოსი მას შეუმჩნეველი და დაუნახავი დარჩება. პოლიტიკა სკოლაა, რომელშიაც მუშა უნდა გაიწვრთნას და ავისა და კარგის გარჩევა ისწავლოს. პროპაგანდა და აგიტაცია ანარქისტებისა მთელ ქვეყანას ვერ გასწვდება, რომ მუშები თავიანთ იდეალებით აღაფრთოვანონ. პოლიტიკური ცხოვრება კი საუკეთესო მქადაგებელია, თუ რიგიანად გამოიყენეს იგი. ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური სოციალისტური პარტიებიც არსებობდნენ. პარლამენტი არსებობს, მას ზოგიერთ შემთხვევაში სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს მუშა ხალხს; ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ზურგი ვიბრუნოთ პარლამენტისაგან და მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონებად რეაქციონერები და კონსერვატორები დავარჩინოთ. ამისთანა ბოიკოტი კანონმდებლობისა მუშა ხალხს ვნების მეტს არაფერს მოუტანს.

ამ რიგად, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ

*) იხ. „ისარი“ № 152

ახლად გამოქვეყნებულ სამხედრო სამართლის ცვლილებათა შესახებ გაზეთი „რეჩ“ ამბობს:

მათი მიზანი ცხადია: ისინი შემოუღია მთავრობას იმ განზრახვით, რომ სასჯელის აღსრულება დაუახლოვოს ბოროტმოქმედების ჩადენის მომენტს. მთავრობა დღეს, თანამედროვე რუსული მართლმსაჯულება მარტოოდენ შურისძიებაზე ფიქრობენ. რუსეთის ცხოვრებაში, მეოცე საუკუნის დასაწყისს, აღადგინეს საშუალო საუკუნოების სამართლის პრინციპები...

შემდეგ გაზეთი ადარებს სამხედრო-საველე სასამართლოებს და ამ ცვლილებათ და ამბობს, რომ თუმცა მათ შორის განსხვავებაცაა, მაგრამ დიდი არაფერი; ხოლო უახლოესი შედეგი იგივე იქნება გადაკეთებულ სამხედრო სასამართლოებისა, როგორიც გაუქმებულ სამხედრო-საველე სასამართლოებს ჰქონდათ, ესე იგი,

სამართლის დაჩქარებას აუცილებლად მოჰყვება მრავალი შემცდარი განაჩენი, რომელთაგან ზოგიერთის (სიკვდილით დასჯის) გასწორებაც აღარ შეიძლება...

* *
*

მენშიკოვი იმდენად შეიპყრო რეაქციონულმა მაცადინეობამ, რომ ლამის არის გაგიჟდეს. ყოველ დღე ახალ-ახალ უცნაურობას აცხობს, ყოველ დღე ახალ-ახალ უმზგავს პროექტებს სთხზავს... „ნოვ. ვრ.“-ს უკანასკნელ №-ში, მაგალითად, დაუსტამბავს წერილი „მამაცთა დრუჟინა“, რომელშიაც ვკითხულობთ:

ყველა ვერ ხედავს ჯერ, რა საშიშროებას უქადის ბახელმწიფოს ახლანდელი არმია, რომლისთვის ჯარის-კაცები ყოველ წელს გროვდება ქალაქად და სოფლად. გლეხობაც და მუშებიც შეპყრობილია ანარხიულ ქადაგებით. რაც დრო მიდის, მით უფრო გარევოლიუციონერებული ჯარის-კაცები იკრიბება. განა ეს საშიში არაა გარეშე და შინაურ მტრებისაგან დაცვის საქმეში?! ამიტომ საუკეთესოა, ეხლავ მოისპოს თანამედროვე წესზე შედგენილი არმია და მის მაგიერ შემოღებულ იქმნას მუდმივი არმია როგორც ოსმალეთში იანიჩარები და რომში პრეტორიანელები იყვნენ...

იანიჩარები და პრეტორიანელები! დაქირავებული მუდმივი ჯარი, სამხედრო სპეციალური კასტა მე-XX საუკუნეში! განა ეს ჭკუათმყოფელი ადამიანის პროექტია?

**რადგან გუშინ, 14 ივლისს, „იდეალის“ სტამბაში, სადაც „ისარი“ იბეჭდება, ჩხრეკა იყო, გაზეთის მთელი მასალის აწყობა ვერ მოესწრო.**

## პროვინციის ცხოვრება

**ს. ერკეთი** (გურია). ავრილის და მაისის გვალვამ ძალიან ცუდად იმოქმედა ყანებზედ. მაისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში რომ წვიმა არ მოსულიყო, აუცილებელი იყო საშინელი შიმშილი, მაგრამ ეშველა და გვედირსა წვიმა, რომელმაც ცოტა მოაბრუნა ნამუშევარი. მაგრამ—დახე უბედურებას!—თითქოს ბუნებაც გამწყრალი იყოს ჩვენზედ: ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო სიდამპით წვიმები და აღარ გადადებულა. ახლა წვიმამ ჩააგდო გაჭირვებაში მუშა ხალხი, რადგან სიმინდი გასამარგლი იყო და თუ ასეთმა ამინდმა დიდ ხანს გასტანა, ისევ ის მოგველის, რაც გვეშინის დრობ.

წელს აბრეშუმი ბევრი ყავდათ და ათას უბედურებასთან ეს ერთი ნუგეში მაინც იქნებოდა, რომ სხვა და სხვა მიზეზს ხელი არ შეეშალა. ჩვენში აბრეშუმის ბაზარი დაბა ჩახატაურია. პარკს ყიდულობენ იქაური ვაჭრები. რათა წარსული წლების ამბავი არ გამეორებულიყო, ყოველმა საზოგადოებამ თითო კაცი დააყენა სასწორზე; ამათ დაევალათ სასწორის თვალ-ყურის ჭერა და მასთან მაზანდების გაგება და შედარებით ფასების დადება აქაურ პარკზედ. როგორც ჩანს საქმე კარგად წაიყვანეს, რადგან წარსულ წლებთან შედარებით ფასი კარგი იყო—19 მანეთიდან 21-მდის. ვაჭრებმა ჩარჩობა და ხრიკი მაინც იხმარეს. გამოაცხადეს, ფული არის, მაგრამ ნაშლად არა გვაქვს, აქ ვერ დავახურდავეთ და სამი ოთხი დღის შემდეგ მიიღებთო. ასეთის სიტყვებით იტყუებდნენ ხალხს. გადიოდა ვადა, ვაჭრები ახალ დროს უდებდნენ. ბოლოს ხალხი იძულებული ხდებოდა, ფულის მაგიერ მიეღო საქონელი—ფართალეულობა და საწვრილმანო.

**აჭაური ბალაძე.**

—

**ბათუმი.** ბათუმში ქართველი საზოგადოება, როგორც სხვაგან, დიდის თანაგრძნობით მიეგება სპარსელ ქართველებს: ონიკაშვილს და ხუციშვილს. პირველად მათ ინახულეს ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანთა წარჩინებული პირნი. ლექცია გაიმართა 12 ივლისს საღამოს; ხალხი ბლომად დაესწრო. ლექტორებმა, როგორც ონიკაშვილმა, ისე ი. ცინცაძემაც დიდის გრძნობით წარმოსთქვეს სიტყვები. საზოგადოება აღტაცებით მიეგება მათ; ლექციის შემდეგ ექსკურსანტებს გაუმართეს ვახშამი, რომელზედაც ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა. ვახშამს მაჰმადიანი ქართველებიც ბლომად დაესწრნენ. მშვენიერის სიტყვით მიმართა მათ ბ-ნმა ონიკაშვილმა საზოგადო ერთობის შესახებ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. აქედან ექსკურსანტები გაემგზავრნენ სენაკს, შემდეგ წავლენ ფოთს, 16 ივლისიდან ავლიან და დაათვალიერებენ ბორჯომს და ბაკურიანს, 20-ში გაიმართება ლექცია სურამში. 22 ჭიათურაში, შემდეგ დაბრუნდებიან ტფილისში.

**ატენის ხეობა** (გორის მაზრა). სოფლებს ატენსა და ხიდისთავს ყველა უბედურებასთან ერთად ზედ დაატყდა მდინარე ტანის მოდიდება. ამ ორი დღის წინად მოხდა მგზავრობა ატენის ხეობაზე. თხუთმეტ ვერსზე მეტი გავიარე და რაც მე უბედურება ვნახე, დაუჯერებელია. მთავარდნილ წყალს სულ წაუღია გზები, რუსს სათავეები, ვენახები, მიწები, ზოგან სახლებიც. ატენის ხეობაზე ერთი პატარა სოფელია, სადაც წყლით ეხლაც სავსეა სახლები სულ წაღებულია ზეზემანების რკინის გზის დიანდაგი როდესაც დიანდაგი წამოუღია სადაც გარდი-გარდმო გახიდულა, შუა-შუა უმტვრევია. მოუგლეჯია იმ ხეობის გზა, რომელიც გადიოდა რევაზ ერისთავის ბაღის გვერდით. წაუღია მისვემის თავ. რევაზ ერისთავის ვენახის ბოლოს და მოუგლეჯნია. დიდი ზარალი მოუვიდა ხიდისთავსაც. მთელი ხეობის საერთო ზარალი ორი ათასი თუმანი იქნება. საჭიროა, ვისაც მოვალეობაა, უყურადღება მიაქციოს დაზარალებულთა გაჭირვებულ მდგომარეობას.

**მგზავრი.**

## რუსეთი

✦ **საქმე სამხედრო ორგანიზაციის შესახებ.** საქმე პეტერბურგში ს.-დემოკრატიულ სამხედრო ორგანიზაციის შესახებ უკვე გადაუციათ პალატის პროკურორისთვის. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულია 120 კაცი. საქმე გაირჩევა ამა ივლისში სამხედრო-საოლქო სასამართლოში.

✦ **რკინის გზაზე.** რადგან ამ ბოლო დროს რკინის გზებზე ძალიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა, გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია ზომები მიიღოს. ამ აზრით დიდ სადგურებზე აწესებენ განსაკუთრებულ რაზმებს. რაზმში მიიღებენ ნასალდათარებს ჟანდარმების ან პოლიციის რეკომენდაციით. ყველას დაურიგებენ თოფებსა და სასიგნალო მოწყობილებას. სადგურის მახლობლად გაიმართება მაღალი სადარაჯო კოშკები, საიდგანაც მთელი სადგურის ტერიტორია უნდა ჩანდეს.

✦ **უნივერსიტეტის რექტორი სამართალში.** იუსტიციის მინისტრს განუზრახავს სამართალში მისცეს ოდესის უნივერსიტეტის რექტორი. აბრალებენ იმას, რომ სისუსტე გამოიჩინა და დროზე ზომები არ მიიღო იმ „უწესოებების“ მოსასპობად, რომელიც უნივერსიტეტში ხდებოდა ორის უკანასკნელ წლის განმავლობაში. მინისტრს უკვე გაუგზავნია ოდესაში გამომძიებელი ამ საქმის გამოსაძიებლად.

**„არავინ დაინდოთ!“.** გენერალ რენნენკამფს, რომელმაც ციმბირში ისახელა თავი, მესამე კორპუსის ჯარის მიმართ ბრძანება გაუცია. ეს ბრძანება ეხება ერთ შემთხვევას, რომელიც ამას წინად მომხდარა საზღვარზე, სადაც დამოჟნაა. ზედ საზღვარზე დარაჯად მდგარა სალდათი ხმელევსკი. ვიღაც კაცი საზღვარზე გადმოსულა და ნოვიცკისთან დამდგარა. ხმელევსკის უთქვამს, ან დამოჟნაში შედი ან უკან დაბრუნდიო. უცნობს შეუგინებია. შეკინკლავებულან და ერთმანეთს ხელითაც შეჰხებიან. მერე ხმელევსკის სხვა სალდათებიც მიშველებიან, მაგრამ უცნობი გაქცეულა და საზღვარს გადასცლებია. აი, ამ შემთხვევის გამო გაუცია ბრძანება გენერალ რენენკამფს. ბრძანებაში აღნიშნულია ეს ამბავი და სხვათა შორის ნათქვამია: „როგორც მოყვანილ ფაქტიდანა ჩანს, ხმელევსკის უცნობ კაცისათვის მაგრად არ დაუკრავს, რადგან მას გაქცევა მოუხერხებია. თუ ცემაა, ისე უნდა სცემონ, რომ ნაცემმა წასვლა ვეღარ მოახერხოს. ასევე უნდა იყოს თოფის სროლისა და შტიკის ხმარებაზე. ვინც შტიკს იხმარს, ერთხელ უნდა ატაკოს, მაგრამ ისე ძლიერ, რომ იქვე სიცოცხლეს გამოასალმოს; აგრეთვე ვინც თოფს გაისვრის, ერთხელ უნდა გაისროლოს, მაგრამ იქვე უნდა გააწვინოს მოწინააღმდეგე. აი, ასეთ სალდათს დაუძახებ ყოჩაღს! ვავალებ ჯარის უფროსებს, რომ ჩააგონონ ყოველივე ეს სალდათებს“!

## წერილი რედაქციის მიმართ.

**პასუხი ერთ გარდასახლებულს.**

გაზეთ «ისრის» მე-143 ნომერში მოთავსებული იყო თქვენი წერილი, სადაცა სწერდით: «მარშან გაუმართავთ წარმოდგენა და გამოუციათ ღია წერილები (ჩვენი გრუპა). შემოსავალი ყოფილა ჩვენ სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენ კი არა მიგვიღია-რაო». ჯერ-ჯერობით შემიძლიან ვაუწყო გადასახლებულთ, რომ ჩვენ რამდენიმე კაცმა მართლა გავმართეთ წარმოდგენა და გამოვეცით გადასახლებულების გრუპა ღია წერილებად (2000 ცალი). რაც შეეხება ანგარიშის დაგვიანებას, ამის მიზეზი ის არის, რომ ვინც წაიღო «ღია წერილები» გასასყიდად, ბევრს მათგანს ჯერაც არ წარმოუდგენია ანგარიში, ხოლო ზოგს წარმოუდგენია ბილეთების ფულიც, თუმცა ჩვენ რამდენჯერმე ვთხოვეთ პირადადაც და წერილობითაც. აქამდის ჩვენი თხოვნა ამაოდ დარჩა. მაგრამ შემდეგი: ყველა ეს კარგად იცოდნენ გადასახლებულთ და არ ვიცით წერილების ავტორს მხარი რად შეუქცევია სიმართლისათვის. ჩვენ გავმართეთ წარმოდგენა და გამოვეცით ღია წერილი ყველა გადასახლებულ კახელებისთვის და არა თერთმეტ კაცისათვის, როგორც თქვენა სწერთ. არც ის გახლავთ მართალი, ვითომ ჯერ-ჯერობით ფული არავისათვის მიგვეწოდებინოს. ჩვენ ზოგიერთს (ვისიც ადრესი ვიცოდით) გაუგზავნეთ, ხოლო ერთი ნაწილი ფულისა აბარია ერთ ჩვენ ამხანაგს. მგონია თქვენცა გთხოვეთ, გვეცნობებინათ იმათი ადრესი, ვინც თქვენში უფრო გაჭირვებულები არიან, რათა დროით მიგვეშველებინა ფული რაც კი ჯერ-ჯერობით მოგროვილია. დას სრულ ვთხოვ მათ, ვინც წაიღეს გასასყიდად «ღია წერილები» და ვიზედაც დარჩენილია წარმოდგენის ფული, მარიამობის პირველამდის მოგვაწოდონ დაწვრილებითი ანგარიში და ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათ გვარსა და სახელს გამოვაცხადებთ გაზეთებში. დაწვრილებითი ანგარიშიც მაშინ იქმნება გამოცხადებული.

**აჭუა.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივლისი

**რ უ ს ე თ შ ი.**

**იალტა.** დაბა ბოგერესლში მეჩხანთა გამგეობაში შეიარაღებული კაცები შევარდნენ და საპასპორტო ბლანკები გაიტაცეს.

**თეოდოსია.** ძველ ყირიმში ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს უბნის ზედამხედველი. მკვლელები პროკლამაციებს აბნევდნენ.

**მოსკოვი.** 13 ივლისს ღამე სად. რამენსკოედან ნახევარ ვერსის მანძილზე მოსკოვ-კავკასიის მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. მატარებელში მე-35 საარტილერიო ბრიგადის ეშელონი იყო მოთავსებული. 4 ვაგონი ქვეითო სამხედრო ბარგით და იარაღით ძლიერ დაზიანდა.

კოლოსოვსკის ვიწრო ქუჩაში დაიჭირეს სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტის 24 წევრი. იპოვნეს კომიტეტის ბეჭედი და აუარებელი პროკლამაცია.

მოსკოვ-ნიჟეგოროდის რკინის გზის მოხელეებს პლატონოვს და გლაზუნოვს რეუტოვის ფაბრიკის გამგეობაში 30,000 მანეთი მიჰქონდათ. სად. რეუტოსთან მათ 12 შეიარაღებული კაცი დაეცა. სასიკვდილოდ დასჭრეს გლაზუნოვი, ფული მოიტაცეს და მოსკოვის მხარეს მიიმალნენ. როცა გამოუდგნენ, გზაზე 10,000 მანეთი იპოვნეს.

**ლოძი.** რევოლვერით მოჰკლეს ერთი მუშა.

**პეტერბურგი.** 12 ივლისს სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე გრადონაჩალნიკის ფონლაუნიცის მკვლელობის მონაწილეთა. სასამართლომ გრონსკის და შტიფტარს ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

**კიელცი.** პოსად სლავკოვოში ოთხი კაცი დაეცა ფოსტის განყოფილებას. განყოფილების უფროსს ხელში დასჭრეს, ერთი თავდამსხმელი მკერდში დაიჭრა.

**ნოვოჩერკასკი.** საეროზო ხმოსნებად აირჩიეს 18 ზომიერი, მემარჯვენე და კადეტების თანამოაზრე.

**ვილნო.** ფალკოვსკის სახლში ღამე ოთხი შეიარაღებული კაცი შევარდა. ხელ-ფეხი შეუკრეს და მოჰკლეს მეგახშის მუშალიუნის და, გაიტაცეს ფული და ძვირფასეულობა, ცეცხლი წაუკიდეს სახლს და სასიკ დილოდ დასჭრეს მეეზოვე, როცა მან მათი დაჭერა მოინდომა.

**ვალკი.** ქალაქიდან რამდენისამე ვერსის მანძილზე ვალიარკის ახალშენში უცნობნი შეუვარდნენ მეახალშენეს შტიველბერგს, სახლის პატრონი მძიმედ დასჭრეს და ფული და ძვირფასეულობა გაიტაცეს.

**კიევი.** ვოზნესენსკის ჩასავალში მოთამაშე ბავშვებმა იპოვნეს 7 გატენილი ყუმბარა.

**ხარკოვი.** ღვთაების სკიტის მონასტრის სადარაჯო სადგომს თავს დაესხნენ. ასტეხეს სროლა, გაიტაცეს ფული და ნივთები.

**პეტერბურგი.** ლაუისკის მაზრის ოტპიაკოვსკის სოფლის საზოგადოებამ დაადგინა, მეღრე სათათბიროს წევრი ბატუროვი და მისი თანამოაზრენი მათ საზოგადოებიდან გაძევებულ იქმნან. ბატუროვი იმ საზოგადოებაში მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა.

დააპატიმრეს ინჟენერ ბერგის და ნობერგის მკვლელი. მკვლელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოჩნდა. მკვლელობა მოხდა 19 ივნის გალერნი ნავთ-სადგურზე, როცა ქალაქის კომისია სამუშაოს ათვალიერებდა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია მაიკოფის სარეზერვო ბატალიონის 14 ჯარის კაცის საქმე. ისინი მე-108 მუხლის ძალით მისცეს სამართალში (დისციპლინის დარღვევა). მიუსაჯეს ერთს გამასწორებელი ბატალიონი 3 წლით.

პოლიტიკური პარტიის არსებობაც აუცილებელია. ამის შემდეგ თავის თავად იბადება საკითხი: რანაირი ურთიერთობა უნდა არსებობდეს პოლიტიკურ სოციალისტურ პარტიასა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის. სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს პროფესიონალური ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტია.

პროფესიონალური ორგანიზაციები წმინდა მუშური ორგანიზაციებია და ამიტომ ისინი ეკონომიურს საფუძველზე არიან აშენებულნი. პროფესიონალურ ორგანიზაციებში სხვა და სხვა რწმენის ხალხი შეიძლება შეიკრიფოს, მაგრამ მათი ეკონომიური საფუძველი ერთნაირი იქნება. პოლიტიკური პარტია კი იდეიურ ერთგვარობის ნიადაგზე აღმოცენებული კავშირია. პოლიტიკურს პარტიაში შეიძლება სხვა და სხვა პროფესიის ხალხი შედიოდეს, რადგან მას ესა თუ ის საზოგადო იდეა ედება საფუძვლად, და არა ეკონომიური მდგომარეობა. ერთსა და იმავე პარტიაში შეიძლება შეჰყვეს როგორც ვექილი, პროფესორი, ხელოსანი, ისე მუშა, გლეხი ან სხვა ვინმე. რა თქმა უნდა, ასეთ სხვა და სხვანაირ ელემენტებისაგან შემდგარ, ორგანიზაციას კლასიური ორგანიზაცია ვერ დაერქმევა.

ჩვეულებრივად პოლიტიკურ პარტიის წევრად არიან ხოლმე ინტელიგენტები და ისეთი მუშები, რომელნიც ინტელიგენტებს უფრო უახლოვდებიან, ვიდრე მუშებს. მხოლოდ ეგრედ წოდებული „მოწინავე მუშები“ ითვისებენ ხოლმე ამა თუ იმ მოძღვრებას და სავსებით უდგებიან პარტიებს. მუშების დიდ-ძალ უმრავლესობის წევრობა კი ძალიან ხშირად მხოლოდ საწევრო ფულის გადახდაში გამოიხატება ხოლმე.

აქამდის სოციალისტურ მოძრაობაში ბატონობა პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნოდა. დღეიდან კი, ჩვენის წარმოდგენით, ბრძოლის ცენტრი მუშათა ორგანიზაციებში უნდა გადავიდეს, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. პროფესიონალური ორგანიზაციები მუდამ დარაჯად უნდა ედგნენ სოციალისტურ პარტიას, სოციალისტური პარტია კი—პროფესიონალურ ორგანიზაციებს. თუ სოციალისტურმა პარტიამ პროფესიონალურ ორგანიზაციების ინტერესები დაიცვა და ღირსეული ხელ-მძღვანელობა გაუწია, იგი ნდობას გამოუცხადებს,—მაგრამ, თუ სოციალისტურმა პარტიამ თავის დანიშნულებას უღალატა, თუ მან ოპორტიუნისტულ გზაზე დაიწყო მსვლელობა, პროფესიონალური ორგანიზაციები ზურგს იბრუნებენ სოციალისტურ პარტიისაგან და მასაც ისეთს ანგარიშს გაუწევენ, როგორსაც ჩვეულებრივ დემოკრატიულ პარტიას უწევენ ხოლმე. ამ შემთხვევაში ხალხის ნდობის მოსაპოვებლად სოციალისტური პარტია იძულებული გახდებოდა მარტო არჩევნების დროს კი არ ეძახა თავისი მაღალ-მაღალი ლოზუნგები და სოციალისტური სიტყვები, არამედ დანაპირები ცხოვრებაშიაც გაეყვანა და ბრძოლის დროშა ყოველთვის აფრიალებული სჭეროდა, მეორის მხრით, სოციალისტური პარტია ახალ-ახალ იდეიურ ჰორიზონტებს გადაუშლიდა მშრომელ ხალხს, მისი გონებრივი მუშაობა ხალხის საკუთრებად გადაიქცეოდა და ვიწრო კორპორატიზმიდან დაიხსნიდა.

ანარქისტები და ანტიპარლამენტარისტები*) ფიქრობენ, ვითომ სოციალისტების მონაწილეობის მიღება პარლამენტში მშრომელ ხალხის კლასიურ თვითშეგნებაზე ცუდად მოქმედებს. ამაზე მე შემდეგი შემიძლიან ვუპასუხო: ჯერ ერთი, მაშინ, როდესაც სინდიკატებს სოციალისტურ მუშაობაში უპირატესობა მიეცემა, სოციალისტურ პარტიაში მხოლოდ ისეთი მუშები შევლენ, რომელზედაც ასეთი უბრალო რამ ვერავითარს შთაბეჭდილებას და გავლენას ვერ იქონიებს. ისინი იქამდის განვითარებულნი და შეგნებულნი იქნებიან, რომ სოციალისტების მონაწილეობის მიღება პარლამენტში მათს კლასიურ თვითშეგნებას ვერ დაამცირებს; მეორეც ის, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს საზოგადოთ მუშის გონება ისე დაბლა დავაყენოთ, როგორც ამას ანარქისტები სჩადიან. მუშა, რომელზედაც ასეთს დიდს იმედებს ამყარებენ ანარქისტები, ნუ თუ იმოდენა ინტელექტუალურ ძალას ვერ გამოიჩენს, რომ სოციალისტების ყოველგვარ ნაბიჯს ღირსეული მსჯავრი დასდოს და მათს პარლამენტში მონაწილეობასაც ისეთის თვალით შეხედოს, როგორც ამას მისი სოციალისტური იდეალი მოითხოვს? არა მჯერა, რომ მუშა ასეთის უძლურ გონების პატრონი იყოს, და არც საბუთი გვაქვს ამის დასაჯერებლად.

ამნაირია ჩვენი ტაქტიკა, რომელიც ჩვენ ძირითად მსოფლ-მხედველობიდან გამომდინარეობს. ჩვენ პარლამენტის საშუალებით სოციალიზმის განხორციელების იმედი არა გვაქვს, მაგრამ საზოგადოდ პარლამენტის მნიშვნელობას კი არ უარვყოფთ. სოციალ დემოკრატები და ანარქისტები გვარწმუნებენ, სოციალიზმი სოციალურ რევოლიუციის შემდეგ ერთბაშად განხორციელდებაო; ჩვენ კი გვგონია, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად თანდათანობაა საჭირო, რომ სოციალიზმი სინამდვილედ გადაიქცეს, სოციალისტურს ელემენტებს საფუძველი უნდა ჩაეყაროს, დღევანდელი ბურჟუაზიული ფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებად უნდა შეიცვალოს. ამნაირ მსოფლ-მხედველობას, რასაკვირველია, შესაფერისი ტაქტიკაც უნდა მოჰყვეს. ჩვენ ყოველ-გვარს საშუალებით ვისარგებლებთ, რომელიც კი მიზანთან დაგვაახლოვებს და ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში ხელს შეგვიწყობს.

რადგან ძალიან ხშირად ახლად გადმოსული აზრები ჩვენში ბევრს გაიტაცებს, მრავალ საკითხს კი სრულიად დაჩრდილავს ხოლმე, ადვილად შესაძლებელია, რომ „სარევოლიუციო სინდიკალიზმის“ იდეასაც ასე დაემართოს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია აქვე დაუმატო, რომ სარევოლიუციო სინდიკალიზმი განსაკუთრებით იქ მოიტანს სარგებლობას, სადაც კაპიტალიზმი უკვე განვითარებულია და პოლიტიკური ცხოვრებაც საკმაოდ გაუმჯობესებულია. ჩვენში კი არც ერთია და არც მეორე. სამრეწველო მუშებისრაოდენობა ძალიან მცირეა; რაიც შეეხება პოლიტიკურს ცხოვრებას, ისეთს პირობებში ვიმყოფებით, რომელზედაც აზიაც კი უარს აცხადებს. ამისთანა პირობებში პოლიტიკურ პარტიებს, რასაკვირველია, გაცილებით იმაზე მეტი მნიშვნელობა ექმნებათ, ვიდრე სხვაგან. ამიტომ ქართველი ხალხის ერთად-ერთს საზრუნავს ჯერჯერობით ის უნდა შეადგენდეს, რომ პოლიტიკური პირობები გაიუმჯობესოს, ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომ ერის ეკონომიურ, მორალურ და ინტელექტუალურ ძალთა თავისუფალი განვითარება შესაძლებელი გახდეს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ხალხი ამ აუცილებელ საფეხურს გაივლის, როდესაც ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, ხალხიც ახალს ცხოვრებას დაეწაფება და მის წინ სულ ახალ-ახალი ჰორიზონტები გადაიშლება.

**არ. ჯ—შვილი.**

*) ვხმარობ ასეთს ტერმინოლოგიას, რადგან ჩვენში ჰგონიათ, ვითომ შესაძლებელია ადამიანი ანარქისტი იყოს და არა ანტიპარლამენტარისტი, ან კიდევ ანტიპარლამენტარისტი არა ანარქისტი. ჩვენის წარმოდგენით კი ანარქისტი აუცილებლად ანტიპარლამენტარისტი უნდა იყოს, ანტიპარლამენტარისტი კი—ანარქისტი.

ა. ჯ.

